ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №2781950

ნომერი: AR1429764

თარიღი : 05.08.2016

გაცემის თარიღი : 19.08.2016

გაცნობის თარიღი : 20.09.2016

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ქინძმარაული , N 3 , - ის მიმდებარედ ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ვახტანგ ხოჭოლავა პ/ნ 01029000588
- თბილისი, მოსკოვის გამზ, კორპ. 1, ბინა 9

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისსსიპ– ქ. თბილისისმუნიციპალიტეტისარქიტექტურისსამსახურის16.05.2016 წ. №2597326 ბრძანებაშიცვლილებისშეტანისთაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 05/08/2016 წ. #AR1429764 განცხადებით მომართა შპს „გორდა“–ს დირექტორმა ვახტანგ ხოჭოლავამ და მოითხოვა ამავე სამსახურის 16.05.2016 წ. №2597326 ბრძანებაში
ცვლილებისშეტანასამშენებლოობიექტისმესაკუთრისცვლილებიდანგამომდინარე.

სამსახურმა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ 16.05.2016 წ. №2597326 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, ქუჩა ქინძმარაული , N 3 , - ის მიმდებარედ, საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკ. კოდი №01.19.33.002.043), კომერციული ობიექტი (მაღაზია) არქიტექტურული პროექტი, გაიცა მშენებლობის ნებართვა და მშენებლობის ვადა განისაზღვრა 16.05.2016 წ-დან 16.05.2017 წ-ის ჩათვლით. აქტში დამკვეთად დაფიქსირდა ვახტანგ ხოჭოლავა.

საჯარო რეესტრიდან ამონაწერის (რეგისტრაციის ნომერი: 882016465200, მომზადების თარიღი: 28/07/2016 17:52:13 წ. ს/კ: 01.19.33.002.043;) თანახმად, სამშენებლო ობიექტის მესაკუთრეს დღეის მდგომარეობით წარმოადგენს შპს „გორდა“.

"მშენებლობისნებართვისგაცემისწესისადა სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის 57 დადგენილების მე–20 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, დამკვეთს პირველ და მეორე სტადიაზე წარმოადგენს განმცხადებელი, ხოლო მესამე სტადიაზე დამკვეთი შეიძლება იყოს მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული ან ასაშენებელი შენობა-ნაგებობების მესაკუთრე, მოსარგებლე, ან მისი/მათი უფლებამოსილი პირი, რომელსაც აქვს ობიექტის სამშენებლოდ განვითარების ინტერესი.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63–ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ ორგანოს.

ვინაიდან, წარმოდგენილი დოკუმენტების თანახმად სამშენებლო მიწის ნაკვეთის ახლანდელ მესაკუთრეს წარმოადგენს შპს „გორდა“ და მას აქვს ობიექტის სამშენებლოდ განვითარების ინტერესი, სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე–6 თავის, 63–ე მუხლის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის 57 დადგენილების თანახმად,

ვბრძანებ:

1. დაკმაყოფილედეს შპს „გორდა“–ს დირექტორის ვახტანგ ხოჭოლავას 05/08/2016 წ. #AR1429764 განცხადება;
2. შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 16.05.2016 წ. №2597326 ბრძანებაში, კერძოდ დამკვეთად დაფიქსირდეს შპს „გორდა“, ს/კ:406153763;
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 16.05.2016 წ. №2597326 ბრძანებასთან ერთად;
4. წინამდებარე ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქუჩა N7) კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.